საფინანსო- საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის ვალდიმერ სიხარულიძის თანამოხსენება ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის ექვსი თვის შესრულების ანგარიშის შესახებ

ვისაუბრებ იმ პრობლემებზე, რაც ექვსი თვის ანგარიშის შესრულებამ გვაჩვენა. ფაქტიურად, რაც შეეხება შემოსავლებს, 11 243, 0 ათასი ლარის ნაცვლად შემოსულია 8 500, 0 ათასი ლარი. გადასახადებიდან ფაქტიური შესრულება არის 118 %, აქვე დავსძენ, რომ წლის ბოლომდე ქონების გადასახადი შემცირდება 130, 0 ათასი ლარით.

რაც შეეხება სხვა შემოსავლებს, 1450, 4 ათასი ლარიდან შემოსულია 984, 5 ათასი. ეს არის 67, 8 %. ხოლო შემოსავლები საკუთრებიდან არის 68 %.

არაფინანსური აქტივებიდან ფაქტიურად 6 თვეზე დაგეგმილი იყო 247, 0 ათასი ლარი, აქედან შემოსულია 63, 6 ათასი ლარი. არაფინანსური აქტივებიდან 400, 0 ათასი ლარია დეფიციტი. აქედან დაახლოებით შეიძლება შემოვიდეს 70, 0 ათასი ლარი. ბიუჯეტი გაზრდილია 968, 0 ათასი ლარით. ისმის კითხვა, თუ საიდან უნდა შეივსოს ბიუჯეტის შემოსავალი, ალბათ აქ არის დამატებული ის 244, 5 ათასი ლარი, რომლითაც დაზუსტდა გადასახადები. აღვნიშნავ, რომ ეს არის ბიუჯეტის დაბალანსებისთვის საჭირო თანხა. ამიტომ, ველით დახმარებას ფინანსთა სამინისტროდან. ნაშთის სახით 800, 0 ათასი ლარია ანგარიშზე. მოსაკრებლები, რომელიც შეეხება სანებართვო მოსაკრებელს, ადმინისტრაციულ მოსაკრებლებს და სხვა, ძალიან ცოტაა შემოსული ადგილობრივ ბიუჯეტში, როცა სახელმწიფოდან ითხოვ ფინანსურ დახმარებას, ის შემოსავლები რაც გაწერილი არის, უნდა იყოს შემოსული ბიუჯეტში. მაგ. დაბა ბახმაროდან შემოსავლები თუ სხვა.

ადგილობრივ ბიუჯეტში კომუნალურ სამსახურ ,,სხივს“ 150,0 ათასი ლარით ვუზრდით კომუნალურ ხარჯს, რომელიც ძირითადად დაბა ბახმაროს გამო ხდება. მაშინ, როცა დაბა ბახმაროდან არცერთი თეთრი მოსაკრებელი ამოღებული არ არის შემოსავლის სახით ადგილობრივ ბიუჯეტში, მაშინ როცა დადგენილება მოსაკრებელთან დაკავშირებით საკრებულოს მიღებული აქვს კარგა ხანია. ასევეა, სანებართვო მოსაკრებლები, დივიდენდები. მართალია, ეს თანხები დიდი არ არის, მაგრამ ეს ყველა პრობლემა უნდა მოგვარდეს. ეს ინფორმაციაა შემოსავლებთან დაკავშირებით რაც ვისაუბრე, არის ზოგადი და დეტალებში არ შევდივარ.

რაც შეეხება ხარჯებს, როცა საბიუჯეტო განწერა მოხდა, ფაქტიურად ეს ხარჯები დაბალანსებული არის იმ განწერის მიხედვით, მაგრამ გვაქვს საკითხები, რომელიც გვიქმნის პრობლემას. კერძოდ, ეს არის ხარჯებში მე-6 პუნქტი, რომელიც შეეხება სოციალური პროგრამების დაფინანსებას. ჩვენი სოციალური პროგრამების დაფინანსება განწერის მიხედვით ფაქტიურად გეგმაში ჯდება, მაგრამ არის მეორე საკითხი ის, რომ ამ კუთხით დღეის მდგომარეობით 70 % ხარჯი უკვე არის, ეს შეეხება

სამედიცინო დახმარებების, მძიმე საცხოვრებელ პირობებში და სტიქიური მოვლენების შედეგად დახმარების ხარჯებს. გეგმიურ დავალებებს რაც შეეხება, იქ 50 % არის ხარჯი და ჯდება გეგმაში. თუ ასე გაგრძელდა ამ მუხლში ხარჯვა, მივიღებთ იმ შედეგს, რომ სექტემბრის თვეში ამოწურული იქნება ის თანხები, რაც მთელი წლისთვის გვქონდა გამოყოფილი. როცა მაისის თვეში განვიხილეთ სარეზერვო ფონდის ანგარიში, მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ მერიამ უნდა წარმოადგინოს ცვლილებები სოციალური გაცემის წესებში. როცა ბიუჯეტის კორექტირება მოხდება, 100, 0 ათასი ლარის მეტ თანხას ამ მუხლში ვერ დავამატებთ. თუ მეტ თანხას დავამატებთ, ეს უკვე პრობლემას შეგვიქმნის 2023 წლის ბიუჯეტთან მიმართებაში, რადგან საკასო გეგმაზე ნაკლებ თანხას მომავალში ვერ ჩავსვამთ. ამიტომ, ჩვენი თხოვნა იქნება ყველა მაჟორიტარ დეპუტატთან, როცა დახმარების საკითხს განიხილავთ, თუ აუცილებელი სიტუაცია არ არის, თავი შევიკავოთ და აღმასრულებელმა ხელისუფლებამაც მკაცრად მიუდგეს საკითხს თანხების გაცემასთან დაკავშირებით.

ეს არის მოკლედ რაც მინდოდა მეთქვა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის ექვსი თვის შესრულების შესახებ ანგარიშზე.